

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტის წლიური ანგარიში

2017 წელი

ზოგადი მიმოხილვა უნივერსიტეტის შესახებ

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ეროვნულ და ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ყოველწლიურად ზრდადი და განვითარებადი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებელია, რომლის მიზანია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს 9 (ცხრა) წლიანი ისტორია აქვს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ტბელის უნივერსიტეტი ერთ ერთ სტრატეგიულ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი აერთიანებს 4 (ოთხ) ფაკულტეტს:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
- სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის
- აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების
- სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს 11 (თერთმეტ) საბაკალავრო და 11 (თერთმეტ) სამაგისტრო პროგრამას, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ისტორია
- ფილოლოგია
- ხელოვნებათმცოდნეობა
- განათლება
- ჟურნალისტიკა
- აგრარული მეცნიერებები

- საექთნო საქმე
- ბიზნესის ადმინისტრირება
- საჯარო მმართველობა
- სამართალმცოდნეობა
- მათემატიკა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ისტორია
- ფილოლოგია
- ქართველური ენათმეცნიერება
- ხელოვნებათმცოდნეობა
- განათლება
- აგრარული მეცნიერებები
- არქეოლოგია
- ჟურნალისტიკა
- მათემატიკა
- საჯარო მმართველობა
- ბიზნესის ადმინისტრირება

პროფესიული მოდულური პროგრამები:

- ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
- პრაქტიკოსი ექთანი
- ბუღალტერი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტი
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა

უნივერსიტეტის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საკუთარი აუდიტორიებით, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სისტემატურად იხვეწება სწავლების მეთოდები. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მუდმივად ხდება პროგრამებისა და სასწავლო კურსების

მოდულიზაცია, ბიბლიოთეკის თანამედროვე ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით შევსება.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს:

- ბიბლიოთეკა
- ელექტრონული ბიბლიოთეკა
- სპორტდარბაზი
- იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი

უნივერსიტეტის პრიორიტეტებია:

- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია
- გაცვლითი პროგრამები
- მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება
- კარიერული წინსვლა
- სტიპენდია
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება
- კურსდამთავრებულთა დასაქმება
- სტიპენდია
- სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება
- პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესორ - მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური გუნდი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით ეტაპობრივად ახდენს მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლებას სასწავლო და პრაქტიკის ობიექტებთან.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებთან, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების/გაღრმავების მიზნით საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტები და აკადემიკოსები ყოველწლიურად სტუმრობენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს და ატარებენ საჯარო ლექციებს.

უნივერსიტეტის ხელშეწყობითა და დაფინანსებით პროფესორ მასწავლებლები გამოსცემენ სასწავლო კურსებს, სამეცნიერო შრომებს. დღევანდელი მონაცემებით გამოცემულია 1 წიგნი, რომელიც 2016 გამოიცა. ასევე დაკაზადონების პროცესშია და 2018 წელს გამოიცემა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის იაშა თანდილავას ნაშრომი „საერთო ქართული ზმნური ძირები ლაზურში და ლაზური ზმნის პარადიგმა“ რომელიც ასევე უნივერსიტეტის სახელით გამოიცემა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სხალთის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა კურთხევით. უნივერსიტეტი ასევე 2018 წელს გეგმავს ჟურნალის გამოცემას, რომელშიც დაიბეჭდება ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლების სტატიები.

მისია/მიზანი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი მისიიდან გამომდინარე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე ახორციელებს

- გაატაროს ეროვნული, ტრადიციული, კულტურული თვითშეგნების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა
- შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული საუკეთესო სასწავლო და კვლევითი გარემო
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.
- იზრუნოს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე

2017 წლის მნიშვნელოვანი სიახლეები, ღონისძიებები აქტივობები

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ზრუნავს - შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული, ჯანსაღი სასწავლო გარემო და მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრები.

სტუდენტური ცხოვრება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას, ამიტომ

სტუდენტთა ნიჭის რეალიზებისათვის, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ინტელექტუალურ, სპორტულ, კულტურულ შემეცნებით ღონისძიებებს ენიჭება, სადაც სტუდენტებს საკუთარი ნიჭის რეალიზების საშუალება ეძლევათ.

სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების თვალსაზრისით, უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, წახალისება და განხორციელებაა. ამ მიზნით 2017 წელს უნივერსიტეტში მოეწყო სხვადასხვა ინტელექტუალური თუ გასართობი პროექტი, საჯარო შეხვედრები/ლექციები, კონფერენციები, ექსკურსიები და სხვა.

2017 წლის 13 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა უმანსპინძლა შუახევის მუნიციპალიტეტის ლიტერატურულ ფესტივალს „ზე-კართან“, ფესტივალის „ზე-კართან“ პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს საქმიანი შეხვედრის ფარგლებში ესტუმრა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლაშა კომახიძე და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე, სტუმრება სტუდენტებს გააცნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე პროექტები.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მონაწილეობით ყოველწლიურად ტარდება იმიტირებული სასამართლო პროცესი, არც 2017 წელი იყო ამ კუთხით გამონაკლისი, ტბელის უნივერსიტეტის მონაწილეობით ჩატარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი.

2017 წლის 18 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა მაღალმთიანი აჭარის საჯარო სკოლების დირექტორებს, პედაგოგებსა და უფროს კლასელებთან. შეხვედრის მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება გახლდათ.

2017 წლის 10 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა სტუმრობდა, მინისტრმა სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს მინისტრმა გააცნო განათლების სტრატეგიული გეგმები და პრიორიტეტები.

საერთაშორისო თანამშრომლობა

უნივერსიტეტისათვის საერთაშორისო ურთიერთობები ერთ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციები

აღსანიშნავია რომ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება შიდა საუნივერსიტეტო კონფერენცია, უნივერსიტეტის სტუდენტები თემის არჩევაში შეზღუდულნი არ არიან, მათ შეუძლიათ თემა წარადგინონ როგორც სპეციალობაში, ასევე მისთვის საკვლევად საინტერესო საკითხებზე.

შიდა საუნივერსიტეტო სემინარები, ტრენინგები, საჯარო შეხვედრები/ლექციები

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვევით საჯარო ლექცია წაიკითხეს საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა და აკადემიკოსებმა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვევით მეცნიერმა გია კვაშილავამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: - „ პროტოქართველების, პროტოქართველური ენისა და წარწერების შესახებ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა 2017 წლის ოქტომბერს სამეცნიერო თათბირის მონაწილე 7 ქვეყნის (აშშ, ინგლისი, იტალია, ბელარუსი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი) ასევე ბათუმისა და თბილისის ბოტანიკური ბაღების მეცნიერ თანამშრომლებს უმანსპინძლა.